



საადრიცხვო პოლიტიკა

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით 2010 წლის 1 იანვრიდან უნივერსიტეტში გამოქმედოდ მიღებული იქნეს შემდეგი საადრიცხვო პოლიტიკა:

1. უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სხვაობა საადრიცხვო მოგების გადასახადის ხარჯსა და საგადასახადო მიზნებით გამოანგარიშებულ, ბიუჯეტში გადასახდელ მოგების გადასახადს შორის აღრიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.
2. უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი სახსრების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.
3. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.
4. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება დარიცხვის მეთოდით, ბასს-ების შესაბამისად, ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცული უნდა იქნეს მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი. საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხება უწყვეტი მეთოდით.
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით, როცა ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია. თუ ამ მეთოდის გამოყენება არ ხდება (ან ვერ ხერხდება), მაშინ გამოიყენება საშუალო ფასების მეთოდი.
7. მატერიალური ფასეულობების შემენა, რომელთა ღირებულება ერთეულზე არ აღემატება 1000 ლარს ან რომელთაც აქვთ სასარგებლო სამსახურის მცირე ვადა (1 წელი ან უფრო ნაკლები) და რომლებიც არ შეიტანება სასაქონლო-მატერიალური მარაგის შემადგენლობაში, განიხილება მიმდინარე პერიოდის ხარჯებად, გარდა კომპიუტერული ტექნიკისა. კომპიუტერული ტექნიკა რომელიც აღემატება 400 ლარს განიხილება ძირითად საშუალებად.
8. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. კონკრეტულ

ძირითად საშუალებაზე (ან ძირითადი საშუალების ჯგუფზე) სალიკვიდაციო ღირებულებასა და წლიური ცვეთის ნორმას ადგენს საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი პირველ ვიცე-პრეზიდენტთან და აუდიტორთან შეთანხმებით. თუ სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

9. ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით.

10. საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის დაჩქარებული ნორმები.

11. საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

12. უნივერსიტეტში მომუშავეთა ხელფასების დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. თუ შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არაა, ან მასში არ არის ცალსახად განსაზღვრული შრომითი ანაზღაურების სიდიდე, მაშინ ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ხელმოწერით დამტკიცებული ხელფასის უწყისი.

13. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებული უნდა იყოს იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი იქნენ გაწეულნი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზნით გამოიყენება აღებული სესხი.

14. სწავლის საფასურზე სტუდენტების ფასდაკლებები იანგარიშება ყოველი სასწავლო წლისათვის შემუშავებული შპს გაუ-ს სტუდენტებისათვის სწავლებაზე ფასდაკლებების დაწესების შესახებ ბრძანების შესაბამისად.